პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი. თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 6 სექტემბერი, 1944 წ. №181 (7134). ფასი 20 კაპ.

საუკეთესოდ მოვუაროთ ჩაისა და ჯუნგოს პლანტაციებს

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ, გამობრძმედილი სტალინელის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის მითითებათა შესასრულებლად უდიდესი მუშაობა ჩაატარა, რათა საქართველოში დაენერგა და სამრეწველო მასშტაბით განევითარებინა ძვირფასი სუბტროპიკული და სპეციალური კულტურები. ჩვენ ახლა გვაქვს ჩაის მეურნეობისა და მრეწველობის მტკიცე ბაზა. საკავშირო მთავრობა, პირადად ხანაგი სტალინი უდიდეს მზრუნველობას იჩენენ ჩვენში სუბტროპიკული მეურნეობის შემდგომი ყოველმხრივი განვითარებისათვის.

საქართველოს მშრომელნი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით სამამულო ომის დღეებში უდიდეს მუშაობას ეწევიან ჩაის, ციტრუსებისა და სხვა ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების მოსავლიანობის გასაზრდელად. სადაც მზრუნველობით უვლიან ჩაის ბუჩქებს, იქ შესანიშნავ შედეგებს აღწევენ. მნიშვნელოვნად გაზრდილა ჩაისა და ტუნგოს საერთო მოსავლიანობა.

მაგრამ ჩაის პლანტაციების მოვლის, ჭარგავნე ფოთლის კრეფისა და ტუნგოს ნარგავების დამუშავების საქმეში ჯერ კიდევ მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი არსებობს. ზოგიერთ რაიონში შეანულეს ყურადღება ჩაის პლანტაციების მოვლის საკითხებისადმი, ადგილი აქვს ჩაის კრეფის აგროტექნიკური წესების უხეშად დარღვევის შემთხვევებს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგმა პლენუმმა, რომელიც გუშინ დამთავრდა, განიხილა ჩაის პლანტაციებისა და ტუნგოს ნარგავების მოვლის გაუმჯობესების საკითხები. პლენუმმა მოგვცა ჩაის მეურნეობის და ტუნგოს ნარგავების დგომარეობის დაწვრილებითი სურათი და დასახა კონკრეტული ამოცანები ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორებისათვის. პლენუმზე განსაკუთრებით აღინიშნა, თუ რა უარყოფით გავლენას ახდენს ჩაის მოსავლიანობაზე ადგილსამყოფელთა არათანმიმდევრულად გატარება და აგროტექნიკურ ღონისძიებათა დარღვევა.

ოჩამჩირის, გალის, წულუკიძის, გეგეჭკორის, ლანჩხუთის, ცხაკაიას რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჩაის პლანტაციების საზამთრო გადაბარვა, გაწმენდა, პლანტაციების რეკონტი და გათოხნა უხარისხოდ ჩაატარეს. ზოგიერთ კოლმეურნეობაში ჩაის პლანტაციებს პირუტყვი ანადგურებს. პლანტაციების დამუშავების ერთგ დიდ ჩამორჩენას აქვს ადგილი საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ხაზით. მოქვის, აჩიგარის, წულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში შევხვდებით ისეთ პლანტაციებს, რომელნიც ეკალ-ბარდით და სარეველა ბალახებით არის დაფარული.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩაის მუშაობაში შრომის სწორ ორგანიზაციას, მაგრამ ზოგან ამას ყურადღებას არ აქცევენ, შრომა არ არის მოწესრიგებული და ყველა ფორმისუნარიან კოლმეურნეს, სოფლის მთელ მოსახლეობას არ იყენებენ პლანტაციების მოვლისა და ჩაის მწვანე ფოთლის კრეფისათვის. ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათის კოლმეურნეობაში მოზარდთა ჩაუთვლელად 428 კოლმეურნე ითვლება. რამდენაც კოლმეურნეობა შრომისუნარიანად მხოლოდ 123 კაცს სთვლის. ოზუცთა, შრომისუნარმოკლებულთა ასაკში 40-45 წლის ასაკის მამაკაცები ირიცხებენ. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყოთოთ, რომ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს ადგილი მუშაობა სჭირდებათ მთელი ფორმითი რესურსების ნაყოფიერი გამოყენებისათვის.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებაში დასახულია ის გზები და საშუალებანი, რომელთა განხორციელებით უზრუნველჰყოფს ჩაისა და ტუნგოს მეურნეობის შემდგომ განვითარებას. ტუბტროპიკული რაიონების მუშაკთა ინერსების საქმეა დარაზმონ მასები პლენუმის მიერ დასახული პროგრამის ნაუხრელად შესრულებისათვის.

პლენუმი პარტიული ორგანიზაციებს წინაშე უმნიშვნელოვანეს ამოცანად აყენებს მიაღწიონ ჩაისა და ტუნგოს პლანტაციების მოვლის საქმეში ადამწყვეტ გარდატეხას, ყველა აგროტექნიკურ ღონისძიებათა განუხრელად განხორციელებას. საჭიროა 15 ნოემბრამდე დამთავრდეს ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჩაის პლანტაციების გაწმენდა ეკალ-ბარდისა და მრავალწლიანი სავეელა ბალახებისაგან. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ჩაის პლანტაციების გადაბარვას, რაც მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი მთავარი ირბაა. ეს სამუშაო უნდა დაიწყოს 5 ნოემბერს და დამთავრდეს 1945 ლის 1 აპრილისათვის. ჩაის საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები უნდა ჩავატაროთ მაღალ აგროტექნიკურ დონეზე.

პლენუმმა პარტიული ორგანიზაციების წინაშე ამოცანად დასახა ჩაის ბუჩქის გასხვლის სწორად ჩატარება. ცნობილია, რომ ჩაის მაღალი მოსავლის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩაის ბუჩქების დროზე და ხარისხოვნად გასხვლას. საჭიროა ჩაის ბუჩქები გასხლულ იქნას აგროტექნიკურ ვადებში — 15 თებერვლიდან 10 აპრილამდე. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი ვალდებულია დროულად შეასრულოს ჩაის ბუჩქების სასხლავი მაკრატლების დამზადების დავალება. განსაკუთრებულ მზრუნველობას მოითხოვენ ჩაის ის პლანტაციები, რომლებიც გაშენებულია ფერდობებზე.

შეუნელებელი ყურადღება უნდა მიექცეს ჩაის ბუჩქების დაცვას ქარისაგან, რისთვისაც საჭიროა ქარდამცველი ზოლების შექმნა. გადაუდებელ ღონისძიებას წარმოადგენს ჩაის პლანტაციების დაცვა პირუტყვისაგან.

ათეულ რიგ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები და ზოგიერთი რაიონის პასუხისმგებელი მუშაკებიც კი ცდილობენ ჩაის დაბალი მოსავლიანობა და ზოკრეფილი ფოთლის ხარისხის გაუარესება ახსნან მხოლოდ იმით, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ჩაის პლანტაციებში მინერალური სასუქი არ შეტანილა, ან შეტანილია უმნიშვნელო რაოდენობით. ეს სწორი არ არის. მართალია, მინერალური სასუქის შეტანა მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა, მაგრამ არ შეიძლება ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჩაის დაბალი მოსავლიანობა და ფოთლის ხარისხის გაუარესება მთლიანად მივაწეროთ მინერალური სასუქის უქონლობას. ფაქტები მოწმობენ, რომ ძირითადი მიზეზებია აგრეთვე პლანტაციების მოუვლელობა, აგროტექნიკური წესების გაუტარებლობა. მინერალური სასუქის ნაკლებობის პირობებში მთელი სიმკვეთრით დგას ჩაის პლანტაციებში ადგილობრივი სასუქების მაქსიმალურად შეტანის საკითხი. დასავლეთ საქართველოში ბლომად მოიპოვება ტორფი. საჭიროა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მეტი ყურადღება მიაქციონ ტორფის, კომპოსტის და ნაკელის გამოყენებას.

პლენუმზე წარმოთქმულ თავიანთ სიტყვებში საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. კ. ჩარკვიანმა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. ბაქრაძემ სუბტროპიკული რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს საბრძოლო პროგრამა დაუსახეს ჩაისა და ტუნგოს პლანტაციების მოვლის გადაჭრით გაუმჯობესების დარგში. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ აუცილებელია ადგილობრივმა ორგანიზაციებმა გაცილებით მეტი ყურადღება დაუთმონ ჩაის, ტუნგოს პლანტაციების მოვლას და ამ თავითვე გააჩაღონ მზადება ჩაის საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოების სანიმუშოდ ჩატარებისათვის.

ტუნგო მეტად ძვირფასი კულტურაა. ტუნგოს ზეთს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს სახალხო მეურნეობაში. ახლოვდება ტუნგოს ნაყოფის კრეფის დრო. ეს მოითხოვს მთლიანად გავწმინდოთ სარეველა ბალახებისაგან ტუნგოს პლანტაციები და უდანაკარგოდ ავიღოთ მთელი მოსავალი. ამ დღეებში დაიწყება ტუნგოს პლანტაციების პასპორტიზაცია, რაც 1 დეკემბრამდე უნდა დამთავრდეს. ადგილობრივი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან ოპერატიულად უხელმძღვანელონ ამ სამუშაოებს.

ჩაისა და ტუნგოს კულტურების მოვლის გადაჭრით გაუმჯობესებისა და მოსავლიანობის გადიდების ამოცანის გადაწყვეტა დიდად არის დამოკიდებული პარტიულ-მასობრივი მუშაობის გაშლაზე. საჭიროა უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და მთელი ეს საქმიანობა დავუკავშიროთ ჩაისა და ტუნგოს დარგში საწარმოო დავალებათა შესრულებას.

ჩვენი ქვეყანა სასიხარულო დღეებს განიცდის. გმირი წითელი არმია გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით ახალ-ახალ გამანადგურებელ დარტყმებს აყენებს მტერს და აახლოვებს ჩვენი საბოლოო გამარჯვების დღეს. საქართველოს ბოლშევიკები, რომლებსაც ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სოლისკვეთებით წლების განმავლობაში ზრდიდა ამხანაგი ლ. პ. ბერია, ურყევად განახორციელებენ პლენუმის გადაწყვეტილებებს და, როგორც ყოველთვის, წარჩატებით შეასრულებენ დიდი სტალინის ყველა დავალებას.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

1944 წლის 4-5 სექტემბერს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი. პლენუმმა განიხილა ორი საკითხი:

1. ჩაისა და ტუნგოს პლანტაციების მოვლის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

2. საშემოდგომო თესვის შესახებ.

პირველ საკითხზე პლენუმმა მოისმინა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. **მ. ი. ბარამიას** მოხსენება.

ამხ. ბარამიას მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა **გ. მ. შავდიამ** (ლანჩხუთის რაიონი), **კ. გ. ბეჭვაიამ** (აჭარის ასსრ), **ვ. ვ. სიხარულიძემ** (მახარაძის რაიონი), **ა. ი. კილასონიამ** (ცხაკაიას რაიონი), **ს. ი. დარჯანიამ** (გეგეჭკორის რაიონი), **გ. დ. ჩაჩიბაიამ** (ზუგდიდის რაიონი), **ვ. ი. ტოგონიძემ** (წყალტუბოს რაიონი), **ა. ი. მგელაძემ** (აფხაზეთის ასსრ), **ვ. ა. ობოლაძემ** (წულუკიძის რაიონი), **მ. ვ. სარჯველაძემ** (ტრესტი „საქართველოს ჩაი"), **შ. ა. ჭანუყვაძემ** (ქობულეთის რაიონი), **ტ. ყ. კვარაცხელიამ** (საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია), **ა. ბ. ჯიქიამ** (საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი), საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ვ. მ. ბაქრაძემ.**

მეორე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. **ს. გ. ხოშტარია.**

ამხ. ხოშტარიას მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა **მ. ვ. ალავერდაშვილმა** (სიღნაღის რაიონი), **გ. ი. მიხანაშვილმა** (გორის რაიონი), **ბ. ი. ყურაშვილმა** (საგარეჯოს რაიონი), **გ. გ. ფოფხაძემ** (ხაშურის რაიონი), **შ. ტ. გელაშვილმა** (წითელწყაროს რაიონი), **შ. დ. ნუცუბიძემ** (ლაგოდეხის რაიონი), **რ. ა. კვირკველიამ** (სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოს სს რესპუბლიკაში), **დ. ვ. გელაშვილმა** (ახალქალაქის რაიონი), **ნ. ნ. კეცხოველმა** (საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია), **ი. ა. ფეიქრიშვილმა** (გურჯაანის რაიონი).

პლენუმის დასასრულ სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **კ. ნ. ჩარკვიანი.**

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო სათანადო რეზოლუციები.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

5 სექტემბრის ოპერაციული ცნობა

5 სექტემბრის განმავლობაში ქალაქ ტარტუს ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების იერიშებს და დიდი ზარალი მიაყენეს მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის ნგრევით.

ქალაქ ლომჟის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი სადგური ვიშკუვი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 150-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები უსნიკი, კლეჩკოვო, ძველინი, ლაკი, ეშკუნი, კამიანკა, ლიპიანკა, გოგოლოვო, კუნინი, ნური, ვინცენტოვო, პოკლავი, გრაბუვეკი, ზატოკი, პოპოვო, კოსცელნე და რკინიგზის სადგურები ვიზნოვო, კურე, პასეკი, დალენე. მთელ რიგ უბნებზე ჩვენი ჯარები მიადგნენ მდინარე ნარევს.

რუმინეთში ჩვენი ჯარები წინ მიიწევდნენ და დაიკავეს ქალაქები პიტეშტი, კრაიოვა, რაშიოკი-დე-ვედე, დრეგანეშტი და 200-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ველენი, კოლიბაში, სტეინისლეეშტი-ოლარია, ბირლოუ, ისკორუ, ნეგრენი, ზლოტეშტი, ტრივალია, ბრეტეშანი, მეგურა, გოგოშარი და რკინიგზის სადგურები პეტრარაია, ლეურდენი, კელინეშტი, გოლეშტი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავთა ძიებაა.

4 სექტემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 44 ტანკი, საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 21 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ ტარტუს ჩრდილოეთით, დღის მეორე ნახევარში, გერმანელებმა იერიში მოიტანეს ჩვენს პოზიციებზე. გაჩაღდა გაფთრებული ბრძოლები. მოწინააღმდეგე განუწყვეტლივ ზრდიდა თავის ძალებს და ცდილობდა რადაც უნდა დასჯდომოდა მიეღწია წარმატებისათვის. 6 შენაერთის ქვეითებმა და არტილერისტებმა მძლავრი ცეცხლით და კონტრდარტყმებით მოიგერიეს მტრის ყველა იერიში. ბრძოლის ველზე დარჩა 400-ზე მეტი მოკლული ჰიტლერელი. დამწვარი და დაზიანებულია გერმანელთა 6 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი.

* * *

ქალაქ ლომჟის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. 6 შენაერთის ნაწილები მთელ რიგ უბნებზე გაიჭრნენ მდინარე ნარევისაკენ, დაიქუცმაცეს გერმანელთა ჯარების დაჯგუფება ერთმეორისაგან იზოლირებულ ნაწილებად და მდინარესთან მიიმწყვდიეს ისინი. საბჭოთა ქვეითებმა და არტილერისტებმა მოსპეს 1.400 ჰიტლერელი, დაწვეს და დაზიანეს 14 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. ქალაქ ვიშკუვის რაიონში გერმანელთა ტანკები და ქვეითი ჯარი დილით გააფთრებულ კონტრიერიშზე გადმოვიდნენ. ბრძოლა რამდენიმე საათს გრძელდებოდა. ჩვენმა ჯარებმა მოჰქანცეს მოწინააღმდეგე, გამანადგურებლად დაარტყეს მას და იერიშით დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური ვიშკუვი — გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტი მდინარე ზაპადნი ბუგის ჩრდილოეთ ნაპირზე. 6 შენაერთის ნაწილები წარმატებას ანვითარებდნენ და დაიკავეს დასახლებული პუნქტი პოპლავი, რომელიც მდინარე ნარევის აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარეობს. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის ასობით გვამი. მოსპობილია 19 ტანკი და 4 თვითმავალი ქვემეხი. გერმანელებს წაგავრთეთ 21 ქვემეხი, 23 ნაღმსატყორცნი, მრავალი ტყვიამფრქვევი და საომარი მასალების სამი საწყობი. ტყვედ წამოყვანილია 300-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

რუმინეთში ჩვენი ჯარები სწრაფად მიიწევდნენ წინ. 6 შენაერთის ნაწილებმა დაიკავეს ქალაქი პიტეშტი, რომელიც რკინიგზებისა და გზატკეცილების უმნიშვნელოვანეს კვანძს წარმოადგენს. სხვა ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს ქალაქი კრაიოვა, რომელიც 180 კილომეტრზე მდებარეობს ბუქარესტის დასავლეთით და 85 კილომეტრზე იუგოსლავიასთან რუმინეთის საზღვრის აღმოსავლეთით. დამარცხებული გერმანელთა ჯარები, სახელდახელოდ შეერთებულნი საბრძოლო ჯგუფებად, ცდილობდნენ შეეკავებინათ ჩვენი შემტევი ჯარები. საბჭოთა მოძრავი შენაერთები გბედული შემოვლითი მანევრებით გარს ერტყმიან მტრის წინააღმდეგობის კერებს და სპობენ მათ. ერთ უბანზე ჩვენმა ტანკისტებმა და მოტოქვეითმა ჯარმა მოსპეს გერმანელთა ჯგუფი. სხვა რაიონში მთლიანად ლიკვიდირებულია გერმანელთა ორი პოლკის ნაშთები.

* * *

ქალაქ რიგის აღმოსავლეთით სწარმოებდა საარტილერიო და თოფ-ტყვიამფრქვევის სროლა. ჩვენმა მეთვალთვალე არტილერისტებმა ერთ-ერთ გზაზე შეამჩნიეს მოწინააღმდეგის დიდი აღალი, გვარდიის ლეიტენანტ რუმიანცევის ბატარეამ ცეცხლი დაუშინა და მოსპო გერმანელთა 30-მდე საზიდარი.

ოთხი მფრინავ-გამანადგურებელი კაპიტან მარკოვის მეთაურობით იფარავდა „ილიუშინ-2" თვითმფრინავების ჯგუფს, რომელიც გადფრინდა მოწინააღმდეგის საარტილერიო პოზიციების საიერიშოდ. სამიზნის მახლობლად ჩვენი მფრინავები შეხვდნენ გერმანელთა 12 ავიაგამანადგურებელს. ორი საბჭოთა ავიაგამანადგურებელი განაგრძობდა თავისი დავალების შესრულებას, ხოლო ორმა სხვამ ბრძოლით შეჯბოჯა მტრის თვითმფრინავები. უმცროსმა ლეიტენანტმა კონოვალენკომ ჩამოაგდო გერმანელთა ორი ავიაგამანადგურებელი „ფოკე-ვულფ-190". უმცროსმა ლეიტენანტმა სიომინმა მოსპო მტრის ერთი თვითმფრინავი. საბჭოთა მეიერიშეებმა წარმატებით შეასრულეს თავიანთი დავალება და ავიაგამანადგურებლებთან ერთად უვნებლად დაბრუნდნენ თავიანთ აეროდრომზე.

* * *

გერმანიის სამხედრო მდგომარეობა, რომელიც დღითი-დღე უარესდება, უდიდეს გავლენას ახდენს გერმანიის ჯარების ბრძოლის უნარიანობაზე. ამას მჭევრმეტყველურად მოწმობს დიდძალი ნადავლი დოკუმენტი და ტყვეთა ჩვენებანი.

ერთ-ერთ თავის ბრძანებაში გერმანიის არმიების ჩრდილოეთის ჯგუფის სარდალმა წინადადება მისცა შენაერთების მეთაურებს „ვაუმარტონ და მიუთითონ თვითეულ ჯარისკაცს, რომ ყველა, ვინც კი ერთ ნაბიჯს გადადგამს, რომ ბრძანების გარეშე დასტოვოს დაკავებული ადგილი, დაიხვრიტება". გერმანელთა 227-ე დივიზიის 336-ე პოლკის ტყვე ეფრეიტორმა ფრიდრიხ ფრეიგასტმა განაცხადა: „აგვისტოს დამდეგს ჩვენ წაგვიკითხეს ბრძანება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ თუ ჯგუფს ან ცალკე ჯარისკაცს ნახავენ თავისი ქვეგანაყოფის უბნის ფარგლებს გარეთ, მათი დახვრეტა შეუძლია ყოველ ჯარისკაცს ან ოფიცერს".

გერმანიის სარდლობა ამ ბრძანებებს უკვე ანხორციელებს. მე-17 სატანკო დივიზიის მე-40 მოტომსროლელი პოლკის ტყვე ობერ-ეფრეიტორმა ფრანც ვასნერმა სთქვა: „ჩვენი ასეულის მეთაურმა, ლეიტენანტმა შლაგბაუერმა, ასეულის მეცადინეობაზე წაიკითხა სამხედრო სასამართლოს განაჩენი. მასში მოყვანილი იყო 22 ფელდფებლის, უნტერ-ოფიცრისა და ჯარისკაცის გვარები, რომლებსაც სიკვდილი მიესაჯათ ბრძოლის ველიდან გაქცევისათვის". 69-ე ქვეითი დივიზიის 159-ე პოლკის შტაბის ასეულის ტყვე ეფრეიტორმა ჰელმუტ ვეტეენმა განაცხადა: „უკანასკნელ ბრძოლაში 1-ლი ბატალიონის ჯარისკაცებმა ვერ გაუძლეს რუსების მოწოლას და უკანდახევა იწყეს. მაშინ ბატალიონის მეთაურმა კაპიტანმა ბოკრანდტმა მოჰკლა შვიდი ჯარისკაცი". 343-ე მცველი ბატალიონის ტყვედ წამოყვანილმა ჯარისკაცმა ოტო ჰაინმა სთქვა: „19 აგვისტოს დღისით ჩვენი ბატალიონის მწყობრის წინ დახვრეტილ იქნა სამი ჯარისკაცი. უნტერ-ოფიცერმა ნეიმანმა აგვიხსნა, რომ ასე მოექცევა ყველას, ვინც ბრძანების გარეშე დასტოვებს თავის პოზიციებს".

ომის პირველ პერიოდში გერმანელებმა თავი წარმოიდგინეს მსოფლიოს დამპყრობლებად. ახლა ეს ქედმაღლობა ჰიტლერელებს დაავიწყეს. წითელმა არმიამ თავდაცვითს და შეტევითს ბრძოლებში გაიკაფვერა გერმანიის არმიის ძირითადი კადრები. გერმანელი ჯარისკაცები სულ უფრო და უფრო რწმუნდებიან იმაში, რომ გერმანიამ საბოლოოდ წააგო ომი. ვაი-დამპყრობლებს ახლა „აღარაფერი ადარდებთ, ოღონდ ცოცხალი გადარჩნენ". ნიადაგი იწვის ფაშისტი ავანტიურისტების ფეხქვეშ. ჰიტლერელები სულ უფრო ხშირად მიმართავენ თავიანთივე ჯარისკაცებისა და ოფიცრების დახვრეტას, რომ არ დაუშვან თავიანთი არმიის გახრწნა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

იუგოსლავიის სახალხო განმათავისუფლებელი არმიის მთავარსარდლის მარშალ იოსიპ ბროზ-ტიტოს სუვოროვის I ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ჯარების მართვის საქმეში და საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ნაერთო მტრის — ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციებს ჩატარებაში თვალსაჩინო წარმატებებისათვის დაჯილდოებულ იქნას **სუვოროვის I ხარისხის** ორდენით იუგოსლავიის სახალხო განმათავისუფლებელი არმიის მთავარსარდალი მარშალი **იოსიპ ბროზ-ტიტო.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 5 სექტემბერი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ედუარდ კარდელის დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირისა და იუგოსლავიის საერთო მტრის—ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში შესანიშნავი საბრძოლო მოღვაწეობისათვის და ამასთან მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით იუგოსლავიის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ედუარდ **კარდელი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 5 სექტემბერი.

იუგოსლავიის სახალხო განმათავისუფლებელი არმიის გენერლებისა და ოფიცრების დაჯილდოება სსრ კავშირის ორდენებით

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 5 სექტემბრის ბრძანებულებით, სსრ კავშირისა და იუგოსლავიის საერთო მტრის—ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში თვალსაჩინო საბრძოლო მოღვაწეობისათვის და ამასთან მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის, დაჯილდოებული ყოფილან:

კუტუზოვის I ხარისხის ორდენით

1. გენერალ-მაიორი სვეტოზარ ვუკმანოვიჩი
2. გენერალ-ლეიტენანტი მილოვან ჯილასი
3. გენერალ-ლეიტენანტი სრეტენ ფუიოვიჩი
4. გენერალ-ლეიტენანტი არსო იოვანოვიჩი
5. გენერალ-ლეიტენანტი ივანე პილუტიანოვიჩი
6. გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე რანკოვიჩი.

სუვოროვის II ხარისხის ორდენით

1. გენერალ-მაიორი მიხაილო აპოსტოლსკი
2. გენერალ-ლეიტენანტი ივანე გოშნიაკი
3. გენერალ-ლეიტენანტი პეკო დაპჩევიჩი
4. გენერალ-ლეიტენანტი კოჩა პოპოვიჩი
5. გენერალ-მაიორი ფრანს როზმანი
6. გენერალ-ლეიტენანტი ველიმირ ტერზიჩი.

კუტუზოვის II ხარისხის ორდენით — 14 გენერალი და ოფიცერი.

წითელი დროშის ორდენით—14 გენერალი და ოფიცერი.

სამამულო ომის I ხარისხის ორდენით — 6 ოფიცერი. (საკვლევი).

საქართველოს ერეკვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მთავრობის ნოტა ბულგარეთის მთავრობისადმი

1944 წლის 5 სექტემბერს საღამოს 7 საათზე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ვ. მ. მოლოტოვმა საბჭოთა მთავრობის დავალებით ბულგარეთის დესპანს სსრ კავშირში ი. სტამენოვს გადასცა შემდეგი შინაარსის ნოტა:

„სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ბულგარეთი [illegible] გერმანიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში. საბჭოთა მთავრობა აღგარიშს უწევდა იმას, რომ პატარა ქვეყანას ბულგარეთს არ შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია გერმანიის მძლავრი შეიარაღებული ძალებისათვის ისეთ დროს, როცა გერმანიას ხელთ ეპყრო თითქმის მთელი ევროპა. საბჭოთა მთავრობა ითმენდა ასეთ მდგომარეობას. საბჭოთა მთავრობა ითმენდა იმასაც, როცა ბულგარეთის მმართველი წრეები ეხმარებოდნენ გერმანელებს ყირიმიდან ევაკუაციაში და საბჭოთა კავშირის სამხრეთში გერმანიის დამარცხებული ჯარის ნაშთების გადარჩენაში.

მაგრამ მიმდინარე წლის ზაფხულში გერმანიის შეიარაღებული ძალების მდგომარეობაში ძლიერი კრიზისი დადგა. გერმანია, მარწუხში მომწყვდეული საბჭოთა ჯარების მიერ აღმოსავლეთიდან და საფრანგეთში გადამსხვარი მოკავშირეთა ჯარების მიერ დასავლეთით, კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა და მისი შეიარაღებული ძალები, სასტიკად დამარცხებულნი, იძულებული არიან უკან დაიხიონ ყველა ფრონტზე. გერმანიამ საბოლოოდ დაჰკარგა იტალია. გერმანიამ დაჰკარგა საფრანგეთი. ამის შემდეგ გერმანიას ჩამოსცილდა რუმინეთი. სცილდება ისეთი პატარა ქვეყანაც კი, როგორიც არის ფინეთი, რადგან იგი ხედავს, რომ გერმანიასთან მეგობრული ურთიერთობის განგრძობას ფინეთი დაღუპვისაკენ მიჰყავს.

გერმანიის ბედი გადაწყვეტილია. გერმანიამ საბოლოოდ წააგო ომი.

საქმის ასეთი შემობრუნებისას მოსალოდნელი იყო, რომ ბულგარეთი გადასწყვეტდა გამოეყენებინა ხელსაყრელი მომენტი და რუმინეთისა და ფინეთის შემდეგ ხელს აიღებდა პროგერმანულ პოლიტიკაზე, კავშირს გასწყვეტდა გერმანიასთან და შეუერთდებოდა დემოკრატიული ქვეყნების ანტიჰიტლერულ კოალიციას.

მიუხედავად ამისა, ბულგარეთის მთავრობა ახლაც უარს ამბობს კავშირი გასწყვიტოს გერმანიასთან, ატარებს ეგრეთწოდებული ნეიტრალიტეტის პოლიტიკას, რომლის ძალითაც იგი განაგრძობს პირდაპირი დახმარების გაწევას გერმანიისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, შველის გერმანიის უკანდახეულ ძალებს წითელი არმიის მიერ დევნისაგან გადარჩენაში და აძლევს მათ ბაზას ბულგარეთის ტერიტორიაზე ანტიგერმანული კოალიციის ძალებისადმი გერმანიის მხრივ წინააღმდეგობის ახალი კერის შესაქმნელად როგორც ხმელეთზე, ისე ზღვაში.

საბჭოთა მთავრობა სხვაგვარად ვერ შეაფასებს ბულგარეთის ამ პოლიტიკას, თუ არ როგორც ომის ფაქტიურ წარმოებას გერმანიის ბანაკში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, — პოლიტიკას, რომელიც ტარდება ამყამად, მიუხედავად გერმანიისათვის სამხედრო ვითარების ძირფესვიანად გაუარესებისა და მიუხედავად იმისა, რომ ბულგარეთს ახლა სრული შესაძლებლობა აქვს არ ეშინოდეს გერმანიისა, კავშირი გასწყვიტოს გერმანიასთან და ამით იხსნას ქვეყანა დაღუპვისაგან.

ამის გამო, საბჭოთა მთავრობას შესაძლებლად აღარ მიაჩნია იქონიოს ურთიერთობა ბულგარეთთან, სწყვეტს ყოველგვარ ურთიერთობას ბულგარეთთან და აცხადებს, რომ არა მარტო ბულგარეთი იმყოფება ომის მდგომარეობაში სსრ კავშირთან, რამდენადაც საქმით იგი წინათაც იმყოფებოდა ომის მდგომარეობაში სსრ კავშირთან, არამედ საბჭოთა კავშირიც ამიერიდან ომის მდგომარეობაში იქნება ბულგარეთთან.

მოსკოვი, 1944 წლის 5 სექტემბერი.

საღამოს 7 საათი".

ბ-ნმა ი. სტამენოვმა განაცხადა, რომ იგი დაუყოვნებლივ აცნობებს თავის მთავრობას საბჭოთა მთავრობის ნოტის შესახებ.

მდგომარეობა ბულგარეთში

ბულგარეთის ახალი მთავრობის დეკლარაცია

სოფია, 5 სექტემბერი (საკადეს). 4 სექტემბერს ღამით ბულგარეთის პრემიერ-მინისტრმა კოსტა მურავიევმა სოფიის რადიოთი გამოაქვეყნა მთავრობის შემდეგი დეკლარაცია:

მოქალაქენო! მთავრობა სათავეში ჩაუდგა ხელისუფლებას პასუხსაგებ მომენტში, რასაც ჩვენი ქვეყანა განიცდის. მთავრობამ გადაწყვიტა ბოლო მოუღოს იმ პოლიტიკას, რომელსაც ბულგარელი ხალხი არასოდეს არ იწონებდა. ამ ამოცანის შესასრულებლად მთავრობამ გადასწყვიტა:

1. აღადგინოს ბულგარელი ხალხის ყველა დემოკრატიული თავისუფლება და უფლება, რომლებიც თავისუფალ ხალხს შეეფერება.

2. მთავრობა აცხადებს, რომ იგი აღადგენს ყველა ბულგარელი მოქალაქის თანასწორუფლებიანობას განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

3. მთავრობამ გადასწყვიტა აღადგინოს ბულგარელი ხალხის ყველა კონსტიტუციური თავისუფლება და უფლება.

4. მთავრობამ გადასწყვიტა სრული და უფუო ამნისტია გამოაცხადოს ყველა ამ პირისათვის, ვინც ბრძოლას ეწეოდა დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ ბულგარეთში და იმ ხელისუფალთა წინააღმდეგ, რომლებიც გერმანიასთან კავშირის პოლიტიკას ახორციელებდნენ.

5. მთავრობამ გადასწყვიტა დაშალოს ყველა ფაშისტური ორგანიზაცია, რომლებიც დაძმარებას იღებენ გარედან და რომლებიც უცხონი არიან ბულგარელი ხალხის ინტერესებისა და ტრადიციებისათვის.

6. მთავრობა დაითხოვს 25-ე მოწვევის საბალხო კრებას, რომელსაც აკისრია ისტორიული პასუხისმგებლობა ბულგარეთში შექმნილი მდგომარეობისათვის.

7. საფინანსო პოლიტიკის დარგში მთავრობა განახორციელებს მკაცრ ღონისძიებებს სახელმწიფო სახსრების მომჭირნეობის მიზნით და შესწყვეტს სახალხო ქონების დატაცებას.

8. ეკონომიკის დარგში მთავრობა მაქსიმალურ მეცადინეობასა და მზრუნველობას გამოიჩენს კვების პროდუქტებით და პირველი საჭიროების საგნებით მოსახლეობის მომარაგებისათვის და უზრუნველყოფს ბოთს საჭირო განაწილებას.

საგარეო პოლიტიკის დარგში:

1. ბულგარეთი კისრულობს განახორციელოს მკაცრი, უფუო, ნდობის ღირსი ნეიტრალიტეტი. ამ ნეიტრალიტეტის გულწრფელად განხორციელების მიზნით, ბულგარეთი მიიღებს ზომებს გერმანელთა მთელი ამ ჯარების განიარაღებისათვის, რომლებიც ბულგარეთის საზღვარზე გადმოვლენ, აგრეთვე ბულგარეთის ტერიტორიაზე მყოფი გერმანელთა ჯარების განიარაღებისათვის. უკეთუ ამ ღონისძიებათა განხორციელებისას გერმანია რაიმე დაბრკოლებას შეგვიქმნის, ბულგარეთის მთავრობა იძულებული იქნება გასწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობა გერმანიასთან.

2. ბულგარეთის მთავრობა სამშრიგ პაქტს ამიერიდან ძალადაკარგულად სთვლის. მთავრობა ადენონსებს აგრეთვე ანტიკომინტერნულ პაქტს.

3. მთავრობა იწონებს იმ მუშაობას, რომელიც უკვე ტარდება, ინგლისსა და ამერიკასთან ომის მდგომარეობიდან ბულგარეთის გამოსვლისათვის; ინგლისისა და ამერიკის წინააღმდეგ ომი ბულგარელ ხალხს არასოდეს არ სურდა. მთავრობა იღებს ზომებს ზავის დადების შესახებ მოლაპარაკების დასაჩქარებლად.

4. მთავრობა ატარებს ბულგარეთის საეკონომიკო კორპუსის ევაკუაციას, რაც მახლობელ დღეებში დამთავრდება.

5. მთავრობა მიიღებს ზომებს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთან ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის აღსადგენად.

6. მთავრობა განაგრძობს ჩვენს მეზობელ თურქეთთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას.

7. მთავრობამ გადასწყვიტა კონტაქტი და ნორმალური ურთიერთობა დამყაროს მეზობელი ქვეყნების სახალხო მთავრობებთან.

მთავრობის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა განაგრძოს უაღრესად გულწრფელი, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის განვითარება მომმე რუსეთთან, ეს ურთიერთობა სულ უფრო და უფრო უნდა განვითარდეს მუდმივი გულწრფელი მეგობრობის მიმართულებით, როგორც ეს შეეფერება ურთიერთობას განმთავისუფლებელსა და განთავისუფლებულს შორის.

ამ პროგრამის შესასრულებლად მთავრობა მოუწოდებს მთელ ბულგარელ ხალხს განურჩევლად პოლიტიკური რწმენისა დაირაზმოს და მხარი დაუჭიროს მთავრობას ამ პროგრამის განხორციელებაში, რაც ბულგარეთის ინტერესებს შეეფერება.

საკადესის კომენტარი ბულგარეთის ახალი მთავრობის დეკლარაციის გამო

აღიარებულ უნდა იქნას, რომ ბულგარეთის მთავრობის ფორმალური განცხადება საშინაო პოლიტიკის საკითხებზე ერთგვარ პროგრესს წარმოადგენს. რა თქმა უნდა, დაპირებათა გარდა, ჯერჯერობით მოცემული არაფერია, ამასთან არ ვიცით, როდის შესრულდება ეს დაპირებანი. მაგრამ ეს დაპირებანიც კი საშინაო პოლიტიკის გაუმჯობესების შესახებ პროგრესს წარმოადგენენ.

მაგრამ ომიანობის ვითარებაში საგარეო პოლიტიკას ყოველთვის მეტი მნიშვნელობა აქვს საშინაო პოლიტიკასთან შედარებით. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო პოლიტიკის დარგში პრემიერ მურავიევის დეკლარაცია ბაგრიანოვის მთავრობის პოზიციასთან შედარებით არავითარ პროგრესს არ წარმოადგენს.

მურავიევის მთავრობას სურს დაიცვას მკაცრი ნეიტრალიტეტი ორ ბანაკს შორის, რომლებიც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწევიან. მაგრამ, როგორც პრაქტიკამ დაგვანახვა, ბულგარეთის ნეიტრალიტეტის პოლიტიკა ჯერჯერობით მხოლოდ გერმანიისათვის არის ხელსაყრელი. იგი, ნეიტრალიტეტის ეს პოლიტიკა, ემსახურება გერმანიის ასობით ხომალდისა და ათასობით გერმანელი ჯარისკაცის დაფარვას წითელი არმიის დევნისაგან. იგი, ბულგარეთის ნეიტრალიტეტის ეს პოლიტიკა, გერმანელებს საშუალებას აძლევს თავიანთი წყალქვეშა ნავებისათვის ბაზები იქონიონ შავი ზღვის ბულგარეთის ნავსადგურებში და საფრთხე შეუქმნან საბჭოთა ნაოსნობას მთელ შავ ზღვაზე. თუ ბულგარეთის ნეიტრალიტეტის ამ პოლიტიკას იმაზე მეტი რაიმეს მოცემა არ შეუძლია, რომ გერმანელთა შეიარაღებული ძალები დაიფაროს ბულგარეთის ტერიტორიაზე, მაშინ უმჯობესი იქნებოდა ეს პოლიტიკა არ წარმოშობილიყო. ბულგარეთის გადასარჩენად საჭიროა ნეიტრალიტეტის პოლიტიკიდან გერმანიასთან ურთიერთობის სრული გაწყვეტის პოლიტიკაზე გადასვლა და ანტიგერმანული კოალიციის ბანაკთან გულწრფელი შეერთება. ყველა მონაცემის მიხედვით მურავიევის მთავრობას არ შესწევს უნარი გადასდგას ეს ერთად-ერთი ნაბიჯი, რომელსაც შეუძლია ამოიყვანოს ბულგარეთი იმ ჭაობიდან, სადაც იგი ბულგარეთის პროგერმანულმა მმართველებმა ჩააგდეს.

ან ნეიტრალიტეტის პოლიტიკაზე უარის თქმა და დემოკრატიული ქვეყნების ბანაკთან შეერთება გერმანიის წინააღმდეგ, ან ბულგარეთის ნეიტრალიტეტი, და მაშინ — დაე ბულგარეთის ახლანდელმა მმართველებმა პასუხი აგონ ბულგარეთის ბედისათვის. ასე დგას საკითხი.

აღმოფხვრათ ნაკლოვანებანი დამამზადებელი ორგანიზაციების მუშაობაში

მუშაობა დაამთავრა დამზადებათა სახალხო კომისარიატის რაიონულ რწმენებულთა რესპუბლიკურმა თათბირმა, რომელიც მოწვეული იყო სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმენებულის მიერ საქართველოში.

თათბირმა განიხილა ხორბლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა მიმდინარეობის საკითხები. მოხსენებებიდან (მოხსენებლები—დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმენებული საქართველოს სს რესპუბლიკაში ამხ. რ. კვირკველია და მისი მოადგილე ამხ. გ. კირიაკოვი) გამოირკვა, რომ დამზადებათა ადგილობრივ ორგანიზაციებს მრავალი მიღწევა აქვთ, მაგრამ მოეპოვებათ ზოგი ნაკლიც.

წნორისწყლის (სიღნაღის რაიონი) მიმღებ პუნქტში ამას წინათ რამდენიმე ტონა უკონდიციო ხორბალი მიიღეს. ასევე მოხდა ბოლნისის რაიონის ხორბლის მიმღებ პუნქტში. უკონდიციო ხორბლეულის მიღების გარდა არის სხვა ხასიათის ნაკლიც. მაგალითად, მელაანის (ბურჯაანის რაიონი) პუნქტში მიიღეს რამდენიმე ტონა ხორბლეული, სამი დღის შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ ამ ხორბლეულს წონაში „დაეკლო" 3,5 პროცენტი. მსგავსი შემთხვევა საგარეჯოს პუნქტშიც იყო.

რესპუბლიკის ზოგ რაიონში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მინდის მიღება და მისი სახელმწიფოსთვის ჩაბარება. ადგილი აქვს მინდის არადანიშნულებისამებრ ხარჯვას თეთრი წყაროს, ღუშეთის, ახალქალაქის და წალკის რაიონებში.

თათბირმა გაამახვილა ყურადღება კონტრაქტაციის საკითხებზე. მთელ რიგ რაიონებში (სამტრედიის, წყალტუბოს, ტყიბულის, ზუგდიდის, მახარაძის რაიონები) კონტრაქტაციის წესით სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, განსაკუთრებით ხილ-ბოსტნეულის დამზადება დიდი წარმატებით მიმდინარეობს იმიტომ, რომ იქ დამზადებათა რაიონული რწმენებულები კარგად მუშაობენ და მათ დიდ დახმარებას უწევენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები. მაგრამ არიან რაიონები (ახალციხის, ადიგენის, ასპინძის და სხვ.), სადაც ამ მხრივ მუშაობა ჯერ კიდევ მოიკოჭლებს.

მოხსენებების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ჯიოევმა (სამხრეთოსეთი), საკანდელიძემ (წყალტუბო), ხუდადიანმა (ბორჩალო), ბასილაშვილმა (წითელწყარო), აფხაზავამ („ზაგოტკომსირიო"), ხაზარაძემ (აჭარა), გოგიშვილმა (ცეკავშირი), ჭეიშვილმა (ტყიბული), გოგოლაძემ (ხარაგოული), ქინქლაძემ (ბორი) და სხვ.

თათბირის დასასრულს „დამზადებათა ფრიადოსნის" ნიშნები გადაეცათ დამზადებათა სახალხო კომისარიატის იმ რაიონულ რწმენებულებს, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისრის ბრძანებით.

ბაეშვთა გამაჯანსაღებელი მოედანი მქავენწყალზე

ჩოხატაური („კომუნისტის" კორ.). რაიონის ცენტრიდან 15 კილომეტრის დაშორებით, ტყრორტ მეავენწყალზე მუშაობს ბავშვთა გამაჯანსაღებელი მოედანი. აქ 50 ბავშვი ისვენებს. განათლების განყოფილებამ და კომკავშირის რაიკომმა მოედანზე დამსვენებელ ბავშვთათვის კარგი პირობები შეიქმნეს. მოედანი მომარაგებულია საჭირო პროდუქტებით, ბავშვებს დღეში ოთხჯერ ჭკვებავენ. ბავშვები კარგად გრძნობენ თავს და წონაშიც მოიმატეს.

კარგად არის დაყენებული მოედანზე ფიზ.-კულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა, რასაც გამოცდილი მასწავლებელი შ. კობიძე ხელმძღვანელობს. ასევე კარგად მუშაობენ ბავშვთა გამაჯანსაღებელი მოედნის გამგე ე. მამალაძე, ხელმძღვანელები ნ. მგალობლიშვილი, შ. შარკაძე და სხვ.

მეჯი და მაღალხარისხოვანი ჩაისათვის

სამამულო ომის დღეებში ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეები და სოფლის მეურნეობის მუშაკები წარმატებით იბრძვიან იმისათვის, რომ ფრონტსა და საშშობლოს სულ მეტი და მეტი რაოდენობით მიაწოდონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. რაიონში განუწყვეტლივ იზრდება სტახანოველთა რიცხვი. პრივალი საბჭოთა პატრიოტი ყოველდღიურად ასრულებს ორ, სამ და მეტ ნორმას. ცნობილი ოსტატები ქიონია სარსანია, ვენერა ყუფუნია და მრავალი სხვა დიდ წარმატებებს აღწევენ პლანტაციების მოვლის, მწვანე ფოთლის კრეფისა და სხვა სამუშაოთა შესრულებაში. ხალხთა საყვარელი ბელადის უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ **სტალინის** მითითებებისა და ძლევამოსილი წითელი არმიის გამარჯვებათა პასუხად საკოლმეურნეო სოფელში დიდი შრომითი აღმავლობაა.

წელს ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკების ამოცანა ფრონტსა და ქვეყანას მისცენ რამდენიმე მილიონი კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ამჟამად წლიური გეგმა უკვე შესრულებულია 84,1 პროცენტით, 4 თვის დავალება კი — 95,7 პროცენტით. კოლმეურნეობებში ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება 90-მდე პროცენტით არის შესრულებული. მაგრამ ამ მხრივ ჩამორჩნენ საბჭოთა მეურნეობები და ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად-საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილიალი. მათ წლიური დავალება 70-81 პროცენტზე მეტად არა აქვთ შესრულებული.

მთავარი ნაკლი, რაც ჩაის ფოთლის კრეფაში გვაქვს, ის არის, რომ დაბალია ხარისხი. წლიური გეგმით წელს მოკრეფილი ჩაიდან საბოლოოდ პირველი ხარისხისა უნდა იყოს სულ ცოტა 43 პროცენტი. ეს დავალება რომ განაღდებულ იქნას, ახლა მოკრეფილი პირველი ხარისხის ჩაის ოდენობა 50 პროცენტს მაინც უნდა აწარეოდეს, ფაქტიურად კი 43,8 პროცენტს არ აღემატება. ამ მხრივ ყველაზე ცუდი მდგომარეობაა ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, იქ მოკრეფილი ფოთლიდან მხოლოდ 38 პროცენტია პირველი ხარისხისა.

ჩაის პლანტაციების დამუშავება გადაწყვეტი პირობაა როგორც ბუჩქების ვეგეტაციის, ისე ხარისხიანი ნედლეულის მიღების საქმეში. ამ მხრივ რაიონში სამამულო ომის დღეებში მნიშვნელოვანი მუშაობა იქნა გაწეული. მაგრამ ზოგან გვაქვს სერიოზული ჩამორჩენაც. 1941 და 1942 წლებში ბევრი პლანტაცია გადაუბარავი დარჩა. წელს პლანტაციები უკეთესად ბოლოდ, თუმცა მაინც **არ** შეიძლება ითქვას, **თითქოს** კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ყველაფერ **დამ**აკმაყოფილებელი მდგომარეობა იყოს **როგორც** გათოხნის, ისე კულტივაციის მხრივ. მართალია, პლანტაციების პირველი თოხნა რაიონში დამთავრდა, მაგრამ მეორედ გათოხნილია მხოლოდ 40 პროცენტი, მესამედ კი 8 პროცენტი. შეუსრულებელია აგრეთვე პირველი და მეორე კულტივაციის გეგმები.

მოსავლიანობაზე დიდ გავლენას იზდენს აგრეთვე ის, რომ პლანტაციებში ბევრგან, სიმეჩხერე 30-40 პროცენტს აღწევს. იმ დროს, როცა მთელ რიგ პლანტაციებში საშუალოდ ჰექტარზე წელიწადში 4-7 ათას კილოგრამამდე ფოთოლი იკრიფება (მაგალითად, აწალსოფლის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში), მეჩხერი პლანტაციები ჰექტარზე 1.000-1.500 კილოგრამზე მეტ მოსავალს არ გვაძლევენ. ეს ნაკლი რომ გამოგვესწორებია შეიძლებოდა ერთიორად მეტი ჩაის მწვანე ფოთლის მოკრეფა.

ბუჩქის ვეგეტაციისა და ფოთლის მოსავლიანობაზე ისიც იზდენს გავლენას, რომ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა მავნებლებისაგან პლანტაციების დაცვის საქმეში. ზოგან ჩაის პლანტაცია დაავადებულია ფარიანებით და მოითხოვს ფუმიგაციას ან, უკიდურეს შემთხვევაში, ზეთოვანი ემულსიით შეწამლვას. ამავე დროს, რაიონს დიდი რაოდენობით აკლია შესაწამლი აპარატები (ავტომაქსები).

ზოგან დიდი ნაკლოვანებებია პლანტაციების შემოკავებისა და მათი პირუტყვისაგან დაცვის საქმეში, ეს საკითხი წელს აგვისტოში გადაწყვიტა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და რაიონს მიეცა სათანადო მითითებები, რაც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ ურყევად უნდა იქნას შესრულებული. გათვალისწინებულია 684 კილომეტრზე გაკეთდეს ცოცხალი ღობე, რასაც დასჭირდება ტრიფოლიატის სანერგის მოწყობა 18 ჰექტარზე. მთლიანად ეს სამუშაო 4-5 წელიწადში დამთავრდება.

დიდი ყურადღება მიექცევა აგრეთვე პლანტაციების დაბარვას, გათოხნასა და გაპატიჟებას.

რაიონში არის 54.000 ტონაზე მეტი ტორფი, რაც მაქსიმალურად იქნება გამოყენებული ადგილობრივ, როგორც სასუქი. დიდი ნაწილი დაეთმობა სხვა რაიონებსაც. ამ მიზნით საჭიროა სოფელ ცაიშდან ტორფის წარმოებამდე 4 კილომეტრზე ვიწროლინდაგიანი რკინიგზის გაყვანა, რაც გაუადვილებს სხვა რაიონებსაც სასუქის მიღებას.

ზუგდიდის რაიონის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წლის სექტემბრის პლენუმის დადგენილების საფუძველზე ყველა დავალება სანიმუშოდ შეასრულონ, სამშობლოს მისცენ მეტი მაღალხარისხოვანი ჩაი.

გ. ჩაჩიბაია

საქართველოს კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი

სპეციალისტების მომზადება ჩაის ფაბრიკებისათვის

მახარაძე („კომუნისტის" საკ. კორ.). ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საკვლევ საკავშირო ინსტიტუტთან მუშაობა დაიწყო ერთწლიანმა კურსებმა, რომელიც ჩაის ფაბრიკებისათვის სპეციალისტებს მოამზადებს. კურსებზე 68 კაცი ირიცხება. მათგან მეტი ნაწილი ტექნოლოგის სპეციალობას მიიღებს.

კურსებს მომსახურებას უწევენ საკავშირო ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკები.

ლ. ლოლაძე

თამბაქოს წარმატებით აბარებენ

გულრიფში („კომუნისტის" კორესპონდენტისაგან). რაიონში თამბაქოს პლანტაციები კარგად არის მოვლილი. თამბაქოს მოსავალიც უხვია. უკვე დაიწყო სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩაბარება. მარტო 27 აგვისტოს ჩაბარებულ იქნა 45 ტონა ნედლეული.

თამბაქოს ჩაბარებაში დაწინაურდა სოფელ ბაბუშერის, ბერიას სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ი. ბერიშვილი), რომელმაც 27 აგვისტოსათვის სახელმწიფოს ჩააბარა 7 ტონა თამბაქო. ამავე სოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ი. ესებუა) 8 ტონა ჩააბარა.

თამბაქოს ჩაბარებაში აგრეთვე მოწინავენი არიან სოფელ განახლების კოლმეურნეობა „ახალი ნაასი", გულრიფშის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა და სხვ.

ი. ხოკრავა

ვადაზე ერთი თვით ადრე

საქართველოს თამბაქონედლეულის ტრესტმა თამბაქოს მოსავლის ნაადრევი დამზადების მიმდინარე წლის მესამე კვარტალის გეგმა ვადაზე ერთი თვით ადრე—1 სექტემბრისათვის 100 პროცენტით შეასრულა.

თამბაქოს დამზადება წარმატებით გრძელდება.

საქართველოს თამბაქონედლეულის ტრესტის მმართველი გ. ვაშაკიძე

გეგმების შესრულება

თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმები 1 სექტემბრისათვის ყველა სახის მიხედვით შეასრულეს: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 102,1 პროცენტით, მათ შორის ძროხისა და ფურ-კამეჩისა — 100 პროცენტით, მუშა ხარისა — 100 პროცენტით, ცხვრისა და თხისა — 111,3 პროცენტით, მათ შორის დედა-ცხვრისა და დედა-თხისა — 100,5 პროცენტით, ღორისა — 119,4 პროცენტით, მათ შორის დედა-ღორისა — 100 პროცენტით; ცხენისა — 102,4 პროცენტით, მათ შორის 1944 წელს მოგებული კვიცებისა — 145,4 პროცენტით, ფრინველისა — 114,3 პროცენტით.

გერმანელ დამპყრობთაგან განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობებისათვის ჩაბარებულია 104 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 14 ცხენი და 87 ღორი.

საქართველოს კ. პ. (ბ) თეთრი წყაროს რაიკომის მდივანი გ. ნაბაძე

მშრომელთა დეპუტატების თეთრი წყაროს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. ურაბანიძე

რა ხდება ბინების გადაცვლის საფარქვეშ

თბილისში ძალიან გახშირდა ბინების გადაცვლის საფარქვეშ კომუნალური ბინებით სპეკულაცია, რაც ცხადია, საბინაო სამმართველოს ზოგიერთი ინსპექტორისა და სახლმმართველის ხელშეწყობის გარეშე რღდი ხდება. ბინების გადამცვლელთა ყველა საბუთი, სახლის წიგნში ჩაწერა-ამოწერა, გადაცვლის სინამდვილის დასტური, გადასაცვლელი ბინების თანაფართობის დასკვნა—ყოველივე ეს ხომ ინსპექტორისა და სახლთმმართველის ხელით კეთდება. ამიტომ ბინების გადაცვლის მოტივები გულდასმით უნდა იქნას შესწავლილი და აღნიშნული საბუთები სწორად შედგენილი. სახლთმმართველი და ინსპექტორი ბინების გადაცვლის შემდეგაც ვალდებულნი არიან შეამოწმონ ცხოვრობენ თუ არა გადამცვლელები, გადაცვლის ორდერში ნაჩვენები მისამართით, მაგრამ მეტწილ შემთხვევაში ასე არ ხდება.

ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ფაქტს დავასახელებთ, თუ როგორ აბერხებენ კომუნალური ბინების გაყიდვას ბინების გადაცვლის საფარქვეშ.

ს. ხაჩატუროვამ თავისუფალი ბინა აღმოაჩინა (ვოგებაშვილის მე-3 ჩიხი, № 5) და მის მიერ დაკავებული ბინის (საბინაო სამმართველოს სახლი, ბაქრაძის ქ., № 10) გაყიდვა გადასწყვიტა. მან მეზობლებში ხმები გაავრცელა, ავადმყოფი ბავშვის გამოსაჯანსაღებლად ეს ბინა უნდა გადავცვალოო, მალე მონახა უბინაო, ვინმე ხინჩიკაშვილი, ჩაიწერა თავის ბინაში და საფასური აიღო. თავისი წინასწარი განცხადება რომ გაემართლებინა ეს ბინა (ბაქრაძის, № 10, მალე ლორთქიფანიძეს გადაუცვალა მოსკოვის ქუჩაზე მდებარე № 7 სახლში და თვითონაც და ხინჩიკაშვილებიც აქ გადასახლდნენ. ხაჩატუროვამ ბინად შეძენილი სახლი ხინჩიკაშვილს დაულოცა, ხოლო თვითონ უსასყიდლო ბინაში (ვოგებაშვილის მე-3 ჩიხი, № 5) გადავიდა.

ვინმე ამელინენკომ თბილისიდან წასვლა მოინდომა და თავისი საცხოვრებელი ბინა (ვოგებაშვილის ქ., № 29) მოქალაქე კეკელიას „ჩაბარა", დანაშაულის კვალის დასაფარავად კი გადაცვლის ორდერი გაიფორმა. თვითონ ფორმალურად ჩაეწერა კეკელიას ყოფილ სახლში (ყიზლიარის ქუჩა, № 11) და ჩაწერისთანავე თბილისი დასტოვა.

ასევე „მოიმიზეა" ბინის გადაცვლა მოქალაქე გოგოლაძემ და კომუნალური ბინა (ვერცხლის ქ., № 41) მიჰყიდა ვინმე საკიანს. ეს უკანასკნელი საბჭოს ქუჩაზე კერძო სახლში (№ 319) ცხოვრობდა. საკიანისა და გოგოლაძის ბინების გადაცვლის ორდერი გააფორმეს. გადაცვლის თანახმად ისინი ერთმანეთის ყოფილ ბინებში უნდა გადასულიყვნენ, მაგრამ ასე როდი მოხდა: გოგოლაძეს ერთი ღამეც არ გაუთევია ახალ შეძენილ ბინაში (საბჭოს ქ. № 319), ხოლო საკიანი გადავიდა და ცხოვრობს გოგოლაძის ბინაში. ცხადია, გოგოლაძემ საკიანს მიჰყიდა კომუნალური სახლი (ვერცხლის ქ., № 41).

როგორც ვხედავთ აღნიშნული ბინების გადაცვლის მოტივები სავსებით მოგონილია. ეს „მოტივები" აღნიშნული სახლების მმართველებმა და თბილისის საბინაო სამმართველომ მისაღებად ჩასთვალეს და გადაცვლების ორდერები გასცეს.

მსგავსი ფაქტები ბევრია, მაგრამ მათი გაგება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა შემოწმდება თბილისის საბინაო სამმართველოს მიერ ბინების გადაცვლის ორდერების სისწორე.

გ. ხენდაშა

დეკადიდან

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობა

ლონდონი, 5 სექტემბერი (საკადესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

ანტვერპენი განთავისუფლებულია. მოკავშირეთა მექანიზებული ჯარები ბელგიაზე ორი დღის ლაშქრობის შემდეგ 4 სექტემბერს შევიდნენ ქალაქში და საღამოს სწმენდდნენ დოკების რაიონს. სამხრეთით მოკავშირეთა ჯარებმა დიეკავეს ლუვენი, მალინი და ალოსტი. ინგლისელ-ამერიკელ-ბელგიელ-ფრანგ-ბელგიის საზღვრის ახლოს მოქმედებენ, ლილი დაიკავეს. სომის ჩრდილოეთით მოკავშირეთა ჯარები შეუპოვრად მიიწევდნენ წინ და მიაღწიეს ედენს, მონტრეილს და ეტაპლს.

მონსის (ბელგია) რაიონში მოკავშირეთა ჯარებმა მოახდინეს ქალაქის სამხრეთ-დასავლეთით დიდ „ტომარაში" მოხვედრილი გერმანელთა ჯარების ლიკვიდაცია. ამ ... ტყვედ იქნა წამოყვანილი 9 ათასი ... ტურნეს სამხრეთით და მარშიენის რაიონ... (ვალანსიენის ჩრდილო-დასავლეთით) და ... ლერიში (მონსის ჩრდილო-დასავლეთით) ... კავშირეთა ჯარებმა მოახდინეს მოწინააღ... გის ნაწილების ლიკვიდაცია მთელ რიგ ... ლოტრივ „ტომრებში".

შარლერუას სამხრეთით მოკავშირეთა ... რებმა წინ წაიწიეს ფლორენსა და ბომ... დე. მდინარე მაასის ზემოწელის ხეობაში ... კავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს სენ-მიე... ჩრდილო-აღმოსავლეთით. ფრონტის სამ... უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდ... 4 სექტემბრის განმავლობაში ცოდი ... ზღუდავდა მოკავშირეთა ავიაციის მოქმედ...

საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობა

ლონდონი, 5 სექტემბერი (საკადესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია:

ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემები, რომლებიც ეხმარებოდნენ მოკავშირეთა შემტევ ჯარებს იტალიის აღმოსავლეთ სანაპიროზე, მასირებულად ესროდნენ მტრის ბატარეებს, ტანსპორტსა და ჯარებს რიმინის რაიონში. გასროლილ იქნა 800-ზე მეტი ყუმბარა. მიუხედავად მტრის ძლიერი წინააღმდეგობისა, მე-8 არმიის ნაწილებმა მნიშვნელოვნად გააფართოვეს ხიდწინა სიმაგრე მდინარე კონკის რაიონში და წინ წაიწიეს მაღლობ ადგილას მარცხენა ფლანგზე.

მოკავშირეთა ჯარები შევიდნენ ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის ტერიტორიაზე

ლონდონი, 5 სექტემბერი (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისელ-ამერიკელ-ბელგიელ-ფრანგ-ბელგიელ-